„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲘ

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №21-22 (9563-64) ● 1-30 ნოემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

„ᲔᲒᲠᲘᲡᲝᲑᲐ - 2023“









მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2023 წლის 3 ნოემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე, დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება დადებითად შეფასდა.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინგა ქარდავა და საბჭოს მდივანი მანანა გვიჩია გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, მუნიციპალიტეტის თემების რწმუნებულებსა და სენაკის მუ-

ნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმე ქალბატონებს შეხვდნენ და მათ საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა" შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

საგრანტო კონკურსი, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ტარდება. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალბატონებს. კონკურსის ბიუჯეტი შეადგენდა 10000 ლარს და კონკურსისთვის გამოყოფილი თანხა 2 გამარჯვებულზე იყო განკუთვნილი. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 19 ნოემბრის ჩათვლით. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 1 დეკემბერს და მათთან ხელშეკრულება გაფორმდება 4 დეკემბერს.

დაინტერესებულ აპლიკანტებს, შევსებული წინასწარი განაცხადის ფორმა უნდა გამოეგზავნათ საკრებულოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sakrebulo.senaki@gmail.com და თემის ველში მიუთითონ: საგრანტო კონკურსი "ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა". კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებული იყო, როგორც საკრებულოს ფეისბუკ გვერდზე, ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: senaki-sakrebulo.gov.ge

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი საინფორმაციო
საკითხებში

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, ნოქალაქევი-ლეძაძამე-დიდი ჭყონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის მე-2; მე-11 და მე-17 კილომეტრებზე, დაზიანებული მონაკვეთების მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, აღნიშნულ ლოკაციაზე იმყოფებოდა და სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ მასშტაბურ პროექტს, ღირებულებით - 4 262 969,97 ლარი, შპს „ბესკო'' ახორციელებს.

შეხვედრაზე ისაუბრეს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მუნიციპალიტეტსა და შპს "დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, პროექტის რეგიონული კოორდინატორს, თენგიზ კაციას და პროექტის მენეჯერს გია ისიანს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაზა ნაჭყებიასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მწვრთნელებთან ერთად, შეხვდა. შეხვედრაზე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებსა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს. პროექტის მხარდამჭერია ონლაინ მაღაზია https://isurve.ge/, რომელმაც სპორტული ინვენტარი მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა.

სრულად განახლდა

სენაკის მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციის და ამ კუთხით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. მშვიდობის ქუჩაზე, ახალრეაბილიტირებული მეოთხე საბავშვო ბაღის მიმდებარე ლოკაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მინი სპორტული მოედანი მოეწყო. პროექტის ღირებულებამ 105 554 ლარი შეადგინა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. ,,ქალაქ სენაკში, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, 3 მინი სპორტული მოედანი მოვაწყვეთ: ვაჩნაძის და მშვიდობის ქუჩებზე; ასევე ყოფილი მერვე სკოლის მიმდებარედ. სპორტული სივრცეების შექმნა, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია და ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა, ჩვენი სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

აქტიურად გრძელდება

სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქად და სოფლად, აქტიურად გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი. თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში დასრულებულია ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულებამ, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა, 74 495 ლარი შეადგინა.

შესრულებულ სამუშაოებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია და საკრებულოს თავმდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი ადგილზე გაეცნენ.

„მერი პოპინსის" პრემიერა

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, ინგლისურენოვანი მიუზიკლის - „მერი პოპინსი" პრემიერა შედგა. ბრიტანულმა სკოლამ - დირექტორი: ფიქრია ჭყონია, სენაკის, აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტების სკოლების მოსწავლეები გააერთიანა. წარმატებულ სპექტაკლს უმასპინძლეს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო და ბათუმის მოზარდმაყურებელთა თეატრებმა. სპექტაკლის რეჟისურა ლაშა გოგნიაშვილს ეკუთვნის; მუსიკალური გაფორმება - ვახტანგ და ეკატერინე ერქომაიშვილებს; სპექტაკლის ქორეოგრაფია - რომან ჯაჯანიძეს. მთავარი როლის შემსრულებელი - წარმატებული სენაკელი ახალგაზრდა, ნინო ძიგუაა. პრემიერას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა - „მერების შეთანხმების" სამუშაო ჯგუფთან



კოალიცია - ასოციაცია ,,დეა" - თავმჯდომარე, თამარ მალანია, ,,Ecobill" და "მდგრადი ურბანული ქალაქების განვითარების სააგენტო-ინტერაქცია", ახორციელებენ პროექტს - „ Exchange of expirienc", რომლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მერების ხელმომწერი მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების საკითხებში. პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა - ,,მერების შეთანხმების" სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფის მდივანმა, დალი ქაჩიბაიამ, წარმოადგინა პრეზენტაცია - კლიმატის ცვლილების საადაპტაციო და სამიგიტაციო ღონისძიებების ფარგლებში, მიმდინარე, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო დანერგილი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების აუცილებლობასა და მნიშვნელობას. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები გაუზიარეს. ცნობისთვის: ჩვენი მუნიციპალიტეტი, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში შეუერთდა №მერების შეთანხმების (№CoMEast) იმ ათასობით ადგილობრივი თვითმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის მიზანია ევროკავშირის კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდისა და ფოთის შემდეგ, სენაკი, სამეგრელოდან, მესამე მუნიციპალიტეტია, რომელიც ევროკავშირის ფართომასშტაბიან ინიციატივას შეუერთდა.

საგანმანათლებლო პროექტი - „საბავშვო არქეოლოგია"

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით საგანმანათლებლო პროექტის - ,,საბავშვო არქეოლოგია'' ფარგლებში, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის მორიგი პრაქტიკული სწავლება-საუბრები გაიმართა. პროექტმა, რომელიც უკვე მე-12 წელია ხორციელდება, მიმდინარე წელსაც ქალაქის ყველა საჯარო და კერძო სკოლა მოიცვა. პროექტში, რომლის მიზანია, მოსწავლეები ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას აზიაროს, მიმდინარე წელს, 225 მოსწავლე იყო ჩართული და იგი 27 ოქტომბერს დასრულდა.

(გაგრძელება მეექვსე გვერდზე)

27 ოქტომბერი - მასწავლებლის ეროვნული დღე

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, საბავშვო მწერლისა და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილი დაბადების დღეს - 27 ოქტომბერს - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გრანდიოზულად აღინიშნა მასწავლებლის ეროვნული დღე.

11 მასწავლებელი დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნითა და 10 ათასი ლარით.

რედაქცია საგანმანათლებლო სფეროს თვითეულ მუშაკს ულოცავს ამ ღირსსახსოვარ დღეს

დარეჯან ზარანდია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, გიორგი ამილახვარის ინიციატივით, პირველად საქართველოს უახლოეს ისტორიაში მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა. რომელიც ყოველი წლის 27 ოქტომბერს აღინიშნება.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენი მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას, განსაკუთრებით ღვაწლმოსილ და წარმატებულ მასწავლებლებს მივულოცო ეს ღირსშესანიშნავი დღე. მასწავლებლის პროფესია ყოველთვის იყო, არის და იქნება გამორჩეული, რადგან ისინი მომავალი თაობის აღმზრდელები არიან.

მამუკა კუჭავა, ხელოვნების წამყვანი მასწავლებელი

მასწავლებლის ეროვნული დღესთან დაკავშირებით 27 ოქტომბერს თბილისში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა მასწავლებლთა ეროვნული პრემიით დაჯილდოების ცერემონია. მასწავლებლის ეროვნული პრემიაზე, სენაკის მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი გახლდათ: სსიპ გ. ადამიას სახელობის ქ.სენაკის №1 საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მენტორი მასწავლებელი ელისო შურღაია, მე და სსიპ ქ.სენაკის მე-3 საჯარო სკოლის ხელოვნების წამყვანი მასწავლებელი თინათინ ჭანტურია. ასევე დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ზარანდია, საჯარო სკოლის პედაგოგები: ნესტან გოგოხია, რუსუდან ქვარცხავა, ნანა თავართქილაძე და ეკატერინე სიჭინავა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა დამსწრე საზოგადოებას, პედაგოგებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და მათ პროფესიული დღე მიულოცეს. აღნიშნული ყველაზე კარგი წამოწყებაა მასწავლებლის დასაფასებლად. ეს პროექტი გახდება პედაგოგებისთვის დიდი მოტივაცია.

ღვაწლმოსილი პედაგოგები დაჯილდოვდნენ

მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოღვაწე ღვაწლმოსილ, დამსახურებულ და წარმატებულ პედაგოგებს, თემატური საღამოები მიეძღვნა. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, პედაგოგების მონაწილეობით, კონცერტი გაიმართა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ხელოვნების ცენტრის პედაგოგებს, სახელოვნებო განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მადლობის სიგელები გადასცეს. აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართული საღამო ქართული სიტყვიერების უბადლო ოსტატის, გამორჩეული თაობების აღმზრდელი, დამსახურებული პედაგოგისა და ეპოქალური პიროვნების, ტერენტი ყიფიანის გახსენებით დაიწყო. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მიმდინარე სასწავლო წელს მოპოვებული წარმატებებისთვის, ქალაქის მე-2 და მე-3 სკოლებს, კერძო სკოლა ლიცეუმსა და კერძო სკოლა ,,მარიოტას" საპატიო სიგელები გადასცა. საღამოზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დარეჯან ზარანდიამ საპატიო სიგელები გადასცეს საჯარო და კერძო სკოლების, სკოლამდელი აღზრდის, სასპორტო გაერთიანების, სახელოვნებო სფეროს 36 ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგს. ღონისძიებაზე, მაყურებლის წინაშე წარდგა ქართველი შემსრულებელი, ნეკა სებისკვერაძე, ბენდთან: პიანისტ - ნინო გულიაშვილთან, დრამერ - გიო კაპანაძესთან, ბასისტ - კოკა მამალაძესთან ერთად. საღამო, მსახიობს და ტელეწამყვანს, კახა მიქიაშვილს მიჰყავდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

თქვენ ის მასწავლებლები ბრძანდებით, მუნიციპალიტეტმა მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით რომ გამოარჩია და დააჯილდოვა. როგორი გრძნობაა, როცა შენი გაკეთებული საქმით, განვლილი გ ზით ფასდები და პატივს იმსახურებ?

ლენა გოგინავა, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი №1 საჯარო სკოლაში -

მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ჩვენი დაჯილდოებით მეუფლება მომავლის იმედი, მადლიერების გრძნობა განათლების სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის კოლექტივის, ჩემი კოლეგების მიმართ, რომ ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლის ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომა ყოველთვის დაფასებული იქნება.

ჩემი მოსწავლეების სიყვარულითა და სითბოთი მოციმციმე თვალები მაძლევს სტიმულს, მოტივაციას კვლავ ახალი შემართებით გავაგრძელო მუშაობა.

ნინო ჟიშკარიანი, ნოქალაქევის საჯარო სკოლის სპც. მასწავლებელი

ჩემი პედაგოგიური გზა – კეთილსინდისიერი მუშაობის გზაა. აღსაზრდელების წინაშე პირნათელი რომ ვყოფილიყავი, ენერგია არასოდეს დამიზოგავს. მნიშვნელოვანია როცა მოსწავლეები, საზოგადოება მასწავლებლის შრომას ხედავს, აფასებს და პატივს სცემს. მადლობა ჩემი ღვაწლის დაფასებისათვის.

ნონა მაჭარაძე, № 7 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ჩემი გაკეთებული საქმეებითა და განვლილი გზით ნამდვილად ვამაყობ, პატივისცემას ვგრძნობ ოჯახის, ახლობლებისა და თითოეული ყოფილი თუ ახლანდელი მოსწავლისაგან.

დამერწმუნეთ ეს გრძნობა ყოველგვარ ჯილდოზე მეტად მახარებს და მაძლევს სტიმულს კიდევ დიდხანს ვაკეთო საყვარელი საქმე..

მიყვარს ჩემი პროფესია და მთელი სულითა და გულით ვემსახურები მომავალი თაობების აღზრდას.

ნარგიზა მიქაძე, აფხაზეთის № 7 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

ძალიან სასიამოვნოა როცა შრომას და ამაგს გიფასებენ. მადლობელი ვარ როგორც ჩემი კოლექტივის, ასევე ჩემი დირექტორის, ქალბატონ ელისო სიჭინავასი, აგრეთვე იმ ადამიანების, რომლებმაც ასეთი გულისამაჩუყებელი და სასიამოვნო საღამო გვაჩუქეს, მადლობა ბატონ ვახტანგ გადელიას და მისი გუნდს - ამ ლამაზი ღონისძიების ავტორებს.

,,დედა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში, იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურის და ფიზიოლოგიურის აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებითგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს-იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობასა და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ჰხატავს სინამდვილედ და სისრულით.

ამასთან დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს აშორებს დედა-ენას და უცხო ენას ასწავლის,... ის ხელითგან ართმევს თავის შვილს ერთადერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისთვის სიპატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, მრომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არასდროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა".

დიაღ, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა,- ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა"

იაკობ გოგებაშვილი

„ეგრისობა - 2023“

„დრო ამ წუთებსაც გადააქცევს



„ეგრისობის“ წახნაგები მრავალფეროვანია, დაარსებისთანავე იქცა იგი საერთო სახალხო დღესასწაულად და რაც უფრო გადის დრო, მით მეტად იხვეჭს სახელს, არ კარგავს პოპულარობას. ამის მიზეზი მისი მთავარი ღერძია, რომელიც წარსულისა და აწმყოს სინთეზით, ისტორიის, წინაპართა განვლილი გზის, ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების.... თანამედროვეობასთან ბმით იქმნება. ეს ის დღესასწაულია, როცა შეგიძლია დროში იმოგზაურო, გაიგო და შეიმეცნო ბევრი რამ, იამაყო შენი ჯიშით და ჯილაგით, მოეფერო წინაპართა სულებს, მწარედ შეიგრძნო მომხდურთა სიავენი, ... გაეცნო დღევანდელობის მიღწევებს სფეროების მიხედვით. მოუსმინო ახალგაზრდებს, ცნობად სახეებს, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომდგენლებს, შემოქმედებით კოლექტივებს,...

არც წლევანდელი ,,ეგრისობა"გახლდათ გამონაკლისი, რომელიც გაიმართა 12 ნოემბერს და იყო სანახაობრივ შინაარსობრივი მრვალფეროვნებით, განსხვავებული ხედვებთა და ნიუანსებით გამორჩეული. მთავარი აქცენტი კულტურისა და ტრადიციების ხაზგასმა გახლდათ.

„ეგრისობა" დაიწყო სენაკის სამხატვრო გალერეაში მხატვარ ჰაიკო გახარიას პერსონალური ნამუშევრების გამოფენით. ის არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მხატვართა კავშირის წევრი. მისი ტილოები გამოფენილი იყო აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვადასხვა ქვეყნებში, ბატონი ჰაიკო ქართული გობელენისა და ხალიჩების ნაწარმის აღიარებული ოსტატია. გამოფენა დაათვალიერა რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ფართო საზოგადოებამ.

„ეგრისობის“ ძირითადი ნაწილი ნოქალაქევის არქტიექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში გაგრძელდა. შემოდგომის ფერთა სიუხვით გაჯერებული ისტორიული ციხე-გოჯის ტერიტორია კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა. როცა გაფორმების ინდივიდუალური ხელწერით გამორჩეული კუთხეები, პავილიონები, ყოფითი ატრიბუტებით დაიტვირთა, განათებები მოეწყო, დღესასწაულის სახეს წარმოადგენდა მეწარმეთა მიერ წარმოდგენილი პროდუქტთა მრავალფეროვნება, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობები, საბავშვო სივრცე, ხატვის მასტერკლასები, დეგუსტაცია, გამოფენა-გაყიდვები და ა.შ.

ვიდეორგოლი „ერთად განვაახლოთ სენაკი“ კი იყო ერთგვარი პრეზენტაცია სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ მასშტაბურ ინფრასტრუქტურული პროექტებისა.

აქ ყველა კუთხის ინდივიდუალურობა თავისთავადობაში გამოხატა.

ხელოვნების ცენტრის კუთხე წარმოდგენილი იყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ფერწერული და ფერად გრაფიკაში შესრულებული ნამუშევრებით, ასევე კერამიკის, ძერწვის და ხელოვნების სხვა ნიმუშებით, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლით „მორდუ“, გიტარისტთა ანსამბლითა და ანსამბლ „გოგალაით“, სამხატვრო სკოლის მოსწავლეები დაკავებული იყვნენ სატაძროარქიტექტურის ხატვით და მოზარდთა სახის მოხატვით.

ადმინისტრაციული ერთეულების ეზოში მეგრული ფაცხით, შესატყვისი საყოფაცხოვრებო ნივთებით, ნუგბარებით, ნაირნაირი კერძებითა და სასმისებით ხვდებოდნენ სტუმართმოყვარე მასპინძლები დამთვალიერებელთ.

მოსწავლე ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის პავილიონი მრავალმხრივი და მრავალფეროვან პროდუქციათა გაფორმებით, ფოტოზონით, ინსტალაციებით, გლინტვეინით ირჩეოდა, ანსამბლ ,,კოლხისა" და საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრის ნომრები ატკბობდა მსმენელს.

საჯარო სკოლების კუთხე, ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს კუთხე „იმოგზაურე წარსულში“ და ა.შ. იყო საინტერესო და თვითმყოფადი.

„ეგრისობას“ სტუმრობდნენ ადგილობრვი და მოწვეული (საქართველოს მასშტაბით) მეწარმეები. მათი პროდუქციის ასორტიმენტი მრავალფეროვანი გახლდათ. ასე მაგ: მეწარმე ბადრი კოკაია (თბილისი) წარმოდგენლი იყო ნატურალური წვენებით, პოპკორნითა და ვირტუალური სათვალით. კომპანია „კოპეშინი“ (ზუგდიდი)

სპარტაკ ქობულია, გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი

12 ნოემბრის განახლებული ,,ეგრისობა" მთელი საქართველოს დღესასწაულია, რადგანაც უძველესი ნოქალაქევი და არქეოპოლისი, ზოგადად მრავალსაუკუნოვანი კოლხეთი ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის საფუძველთა საფუძველია!

დღევანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი მრავალჭირგადანახადი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული, გამორჩეული, ეკონომიკურად და სულიერ-ზნეობრივად ამაღლებული მხარეა.

ბუნებრივია, სოციალური პრობლემებიც ბევრია, მაგრამ ღვთითბოძებული შრომისმოყვარეობის და სიყვარულის ნიჭით გამორჩეული გადელიების და ოდიშარიების თაობა ამ პრობლემებს 2-3 წელიწადში მოაგვარებს...

გილოცავთ ,,ეგრისობას". ღმერთმა მშვიდობა და ერთმანეთის სიყვარული მოგმადლოთ!

ელისო ლემონჯავა, პედაგოგი

პირველად ვესწრები...

პირველად ვიხილე სიუხვე ფერთა, მრავალფეროვნება ჩვენი ყოფიერების...

სოფლის ღონეს, ჰარმონიას და სილამაზეს აქ იგრძნობ...

მინდა, ბედნიერება და მშვიდობა სუფევდეს კოლხთა ოჯახებში...

ეს ხომ ის ადგილია, სადაც არქეოპოლისის, ჩვენი წარსული დიდების სურათები ცოცხლდება...

ჩვენ შევძლებთ უცილოდ დიდებულად გაბრწყინდეს ჩვენი სამშობლო!

მრავალჟამიერ, ერო!

...ალე მოგონებად“

„ეგრისობა - 2023“

კი ჩირებითა და ცუკატებით, კომპანია „ჯეოლაივი“ (თბილისი, მარკეტინგის წარმომადგენელი ნინო ჯანჯღავა) ზეითუნის ზეთით, ზეთისხილის პროდუქციით და ნერგებით. ადგილობრივი მეწარმეებიც კონკურენტუნარიან პროდუქციას (თაფლი, ჩირი, ყველი) სთავაზობდნენ მყიდველს.

„ქართული გასტრონომიული კულტურის მუზეუმის“ დამფუძნებელ ესმა კუნჭულიას მეტად დამაინტრიგებელი სლოგანი ჰქონდა ბანერზე გამოტანილი – „ერთად დავაგემოვნოთ ისტორია თეფშზე“. მან ექსკლუზიურად „ეგრისობა“ 2023-სთვის აღადგინა რამდენიმე ისტორიული კერძი 1874, 1891, და 1935 წელს გამოცემული წიგნებიდან.

„მე გავაცოცხლე მე-19 საუკუნის მენიუ, ...ჩემი მთავარი ღერძი მეგრული სამზარეულოს სიამაყე ღომია, რომელშიც მოვათავსებ 8 სახეობის ქართულ და 3 სახეობის უცხოურ ყველს... კიდევ ბევრი ნიუანსია, რომელსაც გზადაგზა მოგიყვებით“... ასე გავაცოცხლებ ისტორიას თეფშზე” - აღნიშნა მან.

ანა მიქაძე-ჩიკვაიძეს სხვადასხვა სახეობის ყველი ჰქონდა გამოტანილი. „ჩემი ბავშვობა ამ მიდამოებში გავატარე, აქ გავიზარდე. მე ხომ სენაკელი ვარ. დღეს ვისაუბრებ სვანურ ნარჩვზე, ფშავურ-მთიულურ დამბალ ხაჭოზე და მესხურ ყველზე. უნდა დაიწყოს სამურნეო კულტურათა დიალოგი“ - თქვა მან.

ერთი საინტერესო სიახლეც ახლდა ამ ,,ეგრისობას”. ცენტრალურ პავილიონში, სადაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ელექტრონული ტექნოლოგიით ხმის მიცემის წესის გაცნობის კამპანიას ატარებდნენ.

ეგრისობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახლდათ საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვება.

მუნიციპალტეტის მერი ვახტანგ გადელია, სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია, საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის, ფოთისა და ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ და დღესასწაული მიულოცეს.

სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება 16 ადამიანს მიენიჭა ქალაქისა და ქვეყნის წინაშე გაწეული დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროფესიული საქმიანობისათვის.

ესენი გახლავთ: გია ადამია, მანანა ჭანტურია, გურამ ზესაშვილი, ლაშა ტალახაძე, გურამ მისაბიშვილი, შოთა ლომია, ვახტანგ ბესელია, ლალი გოგინავა, გიორგი სალაყაია, კახაბერ ივანიძე, ამირან აფაქიძე, მარიამ ქუჩულორია, ჰაიკო გახარია, ვენერა ლიპარტია, გიორგი თოლორდავა, სულო სეფიაშვილი.

დაჯილდოებით გამოწვეული პირველი ემოცია ჩვენთან საუბარში ასე გამოხატა ქალბატონმა მანანა ჭანტურიამ: - „სრულიად უცნობი გრძნობაა, რომელიც არასოდეს განმიცდია, ამას ჰქვია სიამაყის, ბედნიერების, დაფასების, და ბოლოს უსაზღვრო მადლიერების გრნობა“.

ეგრისობის ბოლო აკორდი გალა კონცერტი გახლდათ, რომელშიც მონაწილეობდნენ: „შვიდკაცა“, „ქართული ხმები“, „თეატრალური კვარტეტი“, „ალილო“, „ფორტე“, დავით მაზანაშვილის ბენდი. საღამო მიჰყავდა თეატრმცოდნესა და წამყვანს ნიკოლოზ წულუკიძეს.

„ეგრისობას” სტუმრობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი ჩიქოვანი, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში გიორგი გუგუჩია, სახელმწიფო რწმუნებულის მოადილეები დავით კუხალიშვილი და ლუდუკი ხასია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ასე მრავალფეროვნად, მრავალსახოვნად, შემეცნებითი აქტივობებით... უმასპინძლა „ეგრისობა“ 2023-მა ყველა თაობის სტუმარს და თან გააყოლა „სიყვარული როგორც ნამქერი“.

ნინო სართანია,
მაია გერგაია

მუნიციპალიტეტის ამბები
(დასასრული)

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" დასრულების ეტაპზეა

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსებული პროექტების განხორციელება, დასრულების ეტაპზეა.

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 68 000 ლარის ფარგლებში, შემდეგი პროექტები განხორციელდა: სოფელ ნოსირში - შემოიღობა საძოვარი და მოეწყო გარე განათების სისტემა; შუა ნოსირში - მოეწყო საბავშვო ბაღის ღობე; ასევე კეთილმოეწყო სოფლის ცენტრის და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიები; სოფელ საბესელიოში - ცხაურის და რკინიგზის გასწვრივ, რეაბილიტირდა ღობე; სოფელ საკილასონიოში - მოწესრიგდა სანიაღვრე არხი და შემოიღობა საძოვარი; სოფელ საოდიშარიოში - მოეწყო ცხაური და ამოიწმინდა სანიაღვრე არხი.

მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ღირებულებით - 16 000 ლარი - მოეწყო გარე განათების სისტემა;

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ღირებულებით, 16 000 ლარი შესრულდა შემდეგი სამუშაოები: მოწესრიგდა სანიაღვრე არხი; მოეწყო სასაფლაოს ღობე. სამივე ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულ სამუშაოებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

***

ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულს, ადგილობრივ მაცხოვრებელთა მიერ შერჩეული პროექტების განსახორციელებლად 64 000 ლარი გამოეყო: დასრულებულია ლეძაძამეს ცენტრში სკვერის მოწყობის სამუშაოები; სკვერი ასევე მოეწყო სოფელ ბეთლემში.

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილი 32 000 ლარის ფარგლებში, შემდეგი პროექტები შესრულდა: სოფელ მუხურის ცენტრში კეთილმოეწყო სკვერი; სოფელ მუხურში, საბავშვო ბაღის ეზოში, დამონტაჟდა ატრაქციონი.

დასრულებულ პროექტებს, ლეძაძამესა და ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები გაეცნენ.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, განხორციელებულ პროექტებს გაეცნენ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა - 72 000 ლარი, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა:

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ რეკაში მოეწყო ცხაური და ღობე; სოფელ საგვარამიოში დამონტაჟდა ტრენაჟორები.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში", მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, 31 პროექტი შეირჩა, რისთვისაც სახელმწიფოსგან 738 000 ლარი და თანადაფინანსებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 21 200 ლარი გამოიყო. პროგრამის ფარგლებში, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში, ორ ლოკაციაზე, ჭაბურღილები მოეწყო;

ახალსოფლის ცენტრალურ გზაზე, გარეგანათების ახალი ქსელი დამონტაჟდა. პროექტების განსახორციელებლად, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, 32 000 ლარი დაიხარჯა. შესრულებულ სამუშაოებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული
უზრუნველყოფის განყოფილება

,,მზად ვარ ყურადღებით განვიხილო ახალგაზრდების ინიციატივები"

ჩვენი ნომრის სტუმარია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი ინგა ქარდავა.

მისი ბიოგრაფია გაჯერებულია დადებითი შტრიხებით, სამჯერ იქნა არჩეული საკრებულოს წევრად. მას აქვს სათანადო კომპეტენცია და პასუხიმგებლობა თავისი სიტყვა თქვას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. არის პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სამეგრელო-ზემო სვანეთის ქალთა ორგანიზაციის საბჭოს წევრი და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულების ხელმძღვანელი.

აქტიური და მიზანდასახული ქალბატონი თვლის, რომ რაც მეტი ქალი ჩაერთვება ადგილობრივ თვითმმართველობაში, მით უფრო მოგვარდება ქალთა საჭიროებები რეგიონში.

თავად ორი წარმატებული შვილის დედას სურს, რომ ახალგაზრდებმა იცხოვრონ ძლიერ, გამთლიანებულ, ევროპული ღირებულებებით გაძლიერებულ, ეკონომიკურად აღორძინებულ საქართველოში. ამასთან თვლის, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებიდან წამოსულ ინიციატივებს.

გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ინგა ქარდავასთან.

ქალბატონო ინგა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, რა ძირითად პრიორიტეტებს გამოყოფდით კომისიის საქმიანობიდან?

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე, აქტიურად ვუჭერ მხარს სენაკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტს.

საკრებულოში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, კომისიის წევრებთან ერთად, ვმართავთ კვარტალურ მოსმენებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირისა და მერიის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილ, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, ეტაპობრივად ვსტუმრობთ მუნიციპალიტეტში არსებული ა.(ა).ი.პ-ების დაქვემდებარებულ დაწესებულებებს. ვხვდებით მათ ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ვეცნობით იქ არსებულ ვითარებას და გარკვეული პრობლემების არსებობის შემთხვევაში ვმსჯელობთ მათი მოგვარების გზებზე.

უფლებამოსილებიდან გამომდინარე, კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს, განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფორმით შექმნასა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, სპორტული ობიექტების საქმიანობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეების დაფინანსების საკითხების შესახებ.

რა შეგიძლიათ თქვათ საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაზე და მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე?

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

საბჭოს საქმიანობებიდან გამომდინარე, მინდა განსაკუთრებით გამოვყო, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ამჟამად გამოცხადებული საგრანტო კონკურსი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა". ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ბიუჯეტი, 10000 შეადგენს და თანხა ორ გამარჯვებულზე გადანაწილდება.

თვლით, თუ არა რომ საჭიროა ახალგაზრდების მეტი ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში, თქვენ თავად როგორ ეკიდებით ახალგაზრდების მხრიდან წამოსულ ინიციატივებს.

ახალგაზრდები მნიშვნელოვანია, რადგან მათ დიდი იმედები უკავშირდება, საზოგადოება ახალგაზრდებს განიხილავს როგორც ადამიანებს, რომლებმაც უნდა შეცვალონ ღირებულებები და ქალაქისა და ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას შეუწყონ ხელი.

ახალგაზრდების ჩართულობა და მათი აქტიურობა მნიშვნელოვანია ყველა საკითხში, განსაკუთრებით თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო 2023-2026 წლების კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი, სადაც განერილია გეგმა და მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდების როლს და ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. მზად ვარ, განსაკუთრებული ყურადღებით მოვისმინო და განვიხილო ახალგაზრდების მხრიდან წამოსული მუნიციპალიტეტისათვის საინტერესო ინიციატივები.

თქვენ როგორც საკრებულოს წევრი და რიგითი სენაკელი, რას თვლით ჩვენს მუნიციპალიტეში უპირველეს მოსაგვარებელ პრობლემად?

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოსაგვარებელ საკითხად დავასახელებდი პარკირების თემას. პარკირების პრობლემა ძირითადად ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზეა. ამიტომ, აუცილებელია დამატებითი ტერიტორიების გამოყოფა და პარკინგის მოწყობა, რაც მძღოლებისათვის გადაადგილებას უფრო კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის.

როგორია თქვენი დამოკიდებულება ბეჭდური მედიის მიმართ, რას უსურვებდით 100 წლოვანი ისტორიის მქონე გაზეთ „კოლხეთს".

ზოგადად მედიას, განსაკუთრებით მიუკერძოებელ და ობიექტურ ბეჭდურ მედიას, რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის განვითარებაში ეს ყველასათვის კარგად ცნობილია. მრავალფეროვანი, დაბალანსებული და პლურალისტული მედია, რომელიც პროფესიული ჟურნალისტიკის ეთიკურ სტანდარტებს ეფუძნება და მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლს ასრულებს, ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აუცილებელი კომპონენტია.

სენაკის ისტორიის მემატიანეს, საუკუნოვან გაზეთს, ვუსურვებ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას, საინტერესო სიახლეებს, ერთგული მკითხველის სიმრავლეს, სიყვარულისა და ნდობის შენარჩუნებას.

მოამზადა მ. ეჯიბია

თაობა

მრავალგზის ლაურეატი და გრანპრის მფლობელი

ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. შესაბამისად, მათი მეტი ჩართულობა სხვადასხვა სფეროში, კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდების პოტენციალს და როლს.

უტა სიჭინავა მეთორმეტეკლასელია. დაწყებითი კლასიდანვე იჩენდა მიდრეკილებას ჰუმანიტარული დისციპლინებისადმი. აქტიურად მონაწილეობდა საგნობრივ ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საგანმანათლებლო პროექტში - ,,ხართ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი" - მონაწილეობა და წარმატება.

უტა სიჭინავა გამოირჩევა ცეკვის განსაკუთრებული ნიჭით. იგი 4 წლის ასაკიდან ცეკვავს. ცეკვის უსაზღვრო სიყვარულს თან ერთვის მონდომება და შრომისმოყვარეობა.

ცეკვისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებაში დიდი წვლილი მიუძღვის შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" ხელმძღვანელს, ქორეოგრაფ ზვიად გვასალიას. სწორედ ზვიად მასწავლებლის დაუღალავმა მეცადინეობამ შეაცნობია უტას, რომ ქართული ცეკვა ქართული იდენტობის ნაწილი და ეროვნული სიამაყეა.

უტა განსაკუთრებული საშემსრულებლო მანერით, დახვეწილობით გამოირჩეოდა საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის მიერ გამართულ რესპუბლიურ, რეგიონულ და საერთაშორისო ფესტივალებზე. არის მრავლგზის ლაურეატი, გრან-პრის მფლობელი. მის მიერ შესრულებული ცერი იქცა ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" სავიზიტო ბარათად.

- უტას აქვს განსაკუთრებული იმპროვიზაციის უნარი, ადვილად ითვისებს ქართული ცეკვის ილეთებს. შემიძლია ვთქვა, რომ თავისთავადია, თავისუფალია სცენაზე, უფრო სწორად - ,,ის სხვას არ ჰგავს". როგორც ქორეოგრაფმა და ამავე დროს, როგორც ნათლიამ, მინდა უდიდესი წარმატება ვუსურვო ხელოვნების რთულ, მაგრამ საპატიო გზაზე - ამბობს ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" ხელმძღვანელი, ზვიად გვასალია.

უტა სიჭინავა ამჟამად სწავლობს ცეკვის აკადემიაში ,,სუხიშვილები". ამ აკადემიაში სწავლა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რადგან ,,სუხიშვილი" არის ბრენდი, რომელმაც ისტორიაში დიდი ხანია საკუთარი ღირსეული და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

უტას სამომავლო პროფესიად არჩეული აქვს ,,პოლიტიკის მეცნიერებისა და საჯარო მმართველობის" მიმართულება.

შვილების სწავლა-განათლებას პრიორიტეტს ანიჭებენ მშობლები: კახა სიჭინავა და ჩვენი კოლეგა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, თეა გრიგოლია.

უტას და, ტატა სიჭინავა, 100 %-იანი გრანტით სწავლობს საგანმანათლებლო სივრცის ყველაზე პრესტიჟულ - დავით ტვილდიანის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

უტა თვლის, რომ ცეკვა გაუადვილებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, დაეხმარება სირთულეთა დაძლევაში. მისთვის ცეკვა მხოლოდ ჰობი არ არის, მთელი სამყაროა.

რედაქციის სახელით, მიზანდასახულ ახალგაზრდას ვუსურვებთ წარმატებებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას, ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც მაქსიმალურად შეძლებს საკუთარი პოტენციალის წარმოჩენას და რეალიზებას.

დასასრულს, მკითხველს გვინდა ვაუწყოთ სასიამოვნო სიახლე: ჩვენი თანაქალაქელი, წარმატებული ახალგაზრდა, უტა სიჭინავა მონაწილეობს კულტურის სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით დაგეგმილ საშობაო მეჯლისში, რომელიც ეთერში 2024 წლის საახალწლო შოუში გავა.

მედეა გაღათურია

17 ნოემბერი-სტუდენტთა საერთაშორისო დღე

დეა სალაყაია

ყოველი ახალგაზრდისთვის სტუდენტობა ცხოვრების ახალი საფეხურია, თავისი სირთულეებით, სიახლეებით, მეტი ცოდნით, მეტი განათლებით. მოტივატორი ამ გზაზე ხარისხიანი განათლების მიღებაა, რომ მომავალში ცხოვრება ისე დაგეგმო, რომ საკუთარ თავსაც არგო და ქვეყანასაც.

სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თავისუფალი უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს დეა სალაყაიას ვკითხეთ: როგორ გრძნობს თავს სტუდენტის ამპლუაში?

-საოცარი გრძნობაა, ფაქტიურად სულ სხვა სამყაროში ხვდები-ახალი გარემო, ახალი მეგობრები, პროფესორ-მასწავლებლები, ცოდნის მიღების სხვა სიბრტყე და შესაძლებლობები. მთავარია ფეხი აუწყო უნივერსიტეტის იმ დღის წესრიგს, რომელსაც გვთავაზობენ სტუდენტებს. მაშინ უპირობოდ გახდები წარმატებული, არჩეული პროფესიის ზედმიწევნით მცოდნე – გვითხრა მან.

დეა სალაყაია არის სენაკელი, კერძო სკოლა ,,მარიოტას" კურსდამთავრებული, რომელიც 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

დეასთან ერთად ჩვენს ახალგაზრდებს ვულოცავთ სტუდენტთა საერთაშორისო დღეს და ვუსურვებთ მიზნების ასრულებას.

ჟ. ჩაჩიბაია

შეხვედრა „კოლხურ ტრიოსთან"

ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" ფონდის შექმნასთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა. მეცნიერ მუშაკ ლალი გულუას ინიციატივით, მუზეუმს ,,კოლხური ტრიოს" მოღვაწეობის ამსახველი 200-მდე მასალა შეემატა (კონცერტის პროგრამები, ლექსები, მიღებული ჯილდოები, ჟურნალ-გაზეთები, დისკები, კასეტა).

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე მანანა გვიჩია, ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამოფენილი იყო ანსამბლის წევრების ხელთნაკეთი ნივთები, ფორმები და პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

ღონისძიებას უძღვებოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი დამირი კუჭავა.

გამომსვლელებმა მარინე აბრამიამ, ლია ღვამბერიამ, მზია ბარქაიამ ანსამბლის მიმართ მოწიწება და მადლიერება გამოხატეს.

ჟღერდა "კოლხური ტრიოს" მიერ შესრულებული სიმღერები, რომლის ფონზე წაიკითხეს დონარა მიმინოშვილის, დარეჯან ფაჩულიას, ბელა ქამადაძესა და ეკა კოლუას ლექსები VII საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ნინო ადამიამ, ლიზი დანელიამ, ლიზი კარანაიამ, ნატალია მირგატიამ, ია ჯოჯუამ, ანანო სახოკიამ, მარიამ გადელიამ, ვიკა ქუთელიამ, ანა ხუბუამ და საბა ქობალიამ.

ანსამბლი "გოგალაის" წევრები მოგონებებითა და სიმღერით მიესალმნენ მეგობრებს.

თბილი სიტყვებით მიმართეს ,,კოლხურ ტრიოს" -სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია ეჯიბიამ და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნაირა ფოფხაძემ. ბატონებმა: გურამ ადანაიამ და ტარიელ დგებუაძემ.

ტრიოს წევრებმა გაიხსენეს მნიშვნელოვანი ეპიზოდები შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან და თავიანთი სიმღერებით დაამშვენეს საღამო.

მარიკა მიქაბერიძე

ერთი ნათელი

მერი და ჯონდი აბრამიები

35 წლის წინ დადიოდნენ სენაკის ქუჩებში კეთილნი, უწყინარნი, კაცთმოყვარენი, მშრომელნი, მოფუსფუსენი... დადიოდნენ და სიკეთე დაჰქონდათ გულით...

ორივენი ნოემბერში წავიდნენ ამ ქვეყნიდან, გიორგობისთვემ გააცილა ისინი...

შვილები: მარინე, თინა და დათო აბრამიები, შვილიშვილები: თამარ და ქეთევან ხოშტარიები, მერიკო, ირაკლი და მარიამ აბრამიები, ღირსეულად განაგრძობენ აბრამიების ოჯახის ტრადიციებს, 9-ვე შვილთაშვილი კი მოკრძალებით ესათუთებიან დიდი ბებიასა და ბაბუას საფლავებს. თავიანთ საამაყო და ძლიერ ფესვებს.

ამ გამორჩეულ წყვილს მადლიერებითა და მოწიწებით იგონებენ მათი მრავალრიცხოვანი ახლობლები და მოკეთეები.

,,ჩვენი თამაზი"

თამაზ კანკია რეგალიების მიუხედავად ყველასთვის - ,,ჩვენი თამაზი" იყო. მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, ახალგაზრდებისთვის, საქმიანი ადამიანებისათვის, თანამდებობის პირებისთვის... თანამშრონლებისთვისაც.

მასთან ყოველთვის ხალხმრავლობა გახლდათ, აქ შეხვდებოდით განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებს, მაღალი იერარქიის პირებს, ახალგაზრდებს, უბრალო ადამიანებს, მეგობრებს, უცნობებსაც კი. ისინი დასაკვალიანებლად, ჭკუის საკითხავად, სამსჯელოდ, სადისკუსიოდ, თანადგომის მისაღებად, პრობლემის გადასაწყვეტად... სტუმრობდნენ. მას ხომ ყველასთნ მიესვლებოდა, ყველასთან ეთქმოდა სიტყვა.

ძალიან უყვარდა სენაკი, ამიტომ მშობლიური ქალაქის წინსვლაზე იყო მუდამ ორიენტირებული... სამოქალაქო ომის პერიოდში ჩვენი ,,კოლხეთის" მთავარი რედაქტორი იყო, მიუხედავად მძიმე წლებისა, სამუშაო კაბინეტი არ დაუტოვებია (მონაცვლეობით გვხვდებოდნენ ამა თუ იმ მხარეთა შეიარაღებული ფორმირებები ადმინისტაციული შენობის ეზოში. სტამბა - რედაქციაში). დაძაბულობა პიკს იყო მიღწეული. ,,ჰაერში დენთის სუნი ტრიალებსო" სწორედ მაშინ ვწერდით.

„ახლა რომ შევწყვიტოთ გაზეთის გამოცემა, მისი აღდგენა შეუძლებელი იქნება, ეს არ უნდა დავუშვათო" - გვითხრა თათბირზე და ყველაფერი გააკეთა, მართალია შეზღუდული პერიოდულობით, მაგრამ მაინც გამოგვიშვია ,,კოლხეთის" ნომრები და მაშინდელი რაიონის მაჯისცემა შემოგვენახა თაობებისათვის.

თამაზ კანკია გახლდათ პრინციპული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, დიპლომატიური უნარებით დაჯილდოებული.... პიროვნება, რომელსაც შეეძლო პრიორიტეტების სწორად დანახვა, შერჩევა, გადაწყვეტა.

ის 5 ნოემბერს დაიბადა და ამავე თვის 8 ნოემბერს აღესრულა. უკვე 17 წელი გასულა.

როგორც ყველას, ,,კოლხეთელებსაც" ჩვენი თამაზი გვყავდა, საკმაოდ მკაცრიც, მაგრამ მეგობრული და უღალატო, უბრალო და ბუხუნა, უშუალო და მიმტევებელი, იუმორით დატვირთული.

,,კოლხეთელები"

ხსოვნა

მაკა კვარჭაია

ჩვენო მაკა, მზის სხივივით ნათელო და ანგელო ზის დარო!

ნუთუ მართლა წაგვართვა შენი თავი სიკვდილმა? ნუთუ მართლა გაგწირა ბედისწერამ?

მწარედ, სასტიკად ჩაგვწყვიტე გული!

დღეებს ვითვლიდით, წამ-წუთებს შენი გამოჯანმრთელების მოლოდინში, გვჯეროდა, გვწამდა, რომ მოკლე დროში დაგვიბრუნდებოდი. ანცი ღიმილით და ნათელი თვალებით შემოგვხედავდი და გვეტყოდი: ყველაფერი კარგადააო.

თურმე რამხელა პრობლემა გქონია, როგორი გულით გივლია. სული დარდით დაგნისვლია. მაგრამ არ გამტყდარხარ, არასოდეს დაგიჩივლია.

ყოველმხრივ გამორჩეული არავის ჰგავდი, სულ არავის, საკუთარი თავის გარდა. სიყვარულის გაცემა შეგეძლო, სიკეთის კეთება უჩუმრად, ხმაურის გარეშე. ამიტომაც გყავდა უამრავი კეთილმოსურნე, რომლებიც დღეს, შენი უბედურების გამო გულდამწვარი და დამუნჯებულნი არიან.

იცი? ბიწიერებით სავსე ამ წუთისოფელში შენნაირთა ადგილი იყო კი? ამიტომაც უფალმა ზეცად აგიყვანა, სადაც მართალნი განისვენებენ.

უშენობით სული და გული გვეგლიჯება, ვწუხვართ სიცოცხლეში რომ ისე ვერ მოგეფერეთ, როგორც იმსახურებდი, ახლა კი როცა უკანასკნელ გზაზე ცხარე ცრემლებით გაცილებთ, გულწრფელად გვინდა გითხრათ: - რომ ტკივილამდე გვიყვარხარ და გვეყვარები მუდამ.

უფალს ებარებოდე!

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

კროსვორდი „ეგრისობა"-2023

შეავსეთ ცარიელი უჯრები საქართველოს ციხესიმაგრეების სახელწოდებებით.



შეადგინა მაია გერგაიამ

განცხადება

დაიწყო და მიმდინარეობს გაზეთ „კოლხეთზე" ხელმოწერა 2024 წლისთვის!

ჩემი პირველი კომპიუტერი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად 2009 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ჩემი პირველი კომპიუტერი".

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული მოსწავლეები, რომელთა საბაზო საფეხურის ნიშანია 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

პროგრამის მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს. თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

აღსანიშნავია, რომ წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. წელს სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, პროექტის - „ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის, საჯარო სკოლების მე-10 კლასელი მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიებაზე, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, დარეჯან ზარანდიას მიჰყავდა, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 47 წარმატებულ მოსწავლეს პორტატული პერსონალური კომპიუტერები გადასცეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ინგა ქარდავამ, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა გვიჩიამ. მათ ახალგაზრდებს ცოდნის მიღების გზაზე წარმატებები უსურვეს.

ანასტასია ჯანაშია, სენაკის №1 საჯარო სკოლა

კომპიუტერით დაჯილდოვება დიდი მოტივაციაა სკოლის მოსწავლეებისათვის და ასევე ჩემთვისაც. ეს დიდი შრომის შედეგია და ჩემი მასწავლებლების დიდი ღვაწლი. ამ მიზნის მიღწევა დიდი სტიმულია, რომ ცხოვრებაში უფრო დიდი მიზნები დავისახო და მათ მისაღწევად არ დავიშურო შრომა და რესურსი. ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მონდომებული ადამიანისთვის სტიმულის მიცემა და დიდ მადლობას ვუხდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას ასეთი ღონისძიების ჩატარებისათვის.

ალექსანდრე გოგია, ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა

პირველ რიგში ეს სიამაყის გრძნობაა, დიდების შეგრძნება, როცა ჩემი წარჩინებული სწავლის შედეგად მოვიპოვე პერსონალური კომპიუტერი. დიახ სიამაყის გრძნობა იმიტომაც, რომ გამორჩეულ ბავშვებში მეც ერთი იმათგანი ვარ. ეს დიდი სიხარულია, რომ ბავშვობაში დასახული მიზანი ავიხდინე. ეს ჯილდო მთელი ცხოვრება სამახსოვროდ დამრჩება. ამით მინდა მაგალითი მივცე უმცროს თაობას, რათა მათაც ქონდეთ მოტივაცია, ისევე როგორც მე, წლების წინ, ვიზიარებდი და შევნატროდი ჩემი დის კომპიუტერით დაჯილდოვებას. აი ეს დღე მეც დამიდგა. იყო ათოსანი და პერსონალური კომპიუტერის მფლობელი დიდი პასუხისმგებლობაა და მოტივაციაა მომავალში გავხდე მედალოსანი

მადლობა განათლების სამინისტროს ამ პროექტისთვის, მადლობა ჩემს პედაგოგებს, განსაკუთრებით ჩემს კლასის დამრიგებელს ქალბატონ ლია თევდორაძეს იმ ცოდნისთვის რომელმაც მომაპოვებინა ჩემი პირველი წარმატება, დიდი მადლობა ჩემს მშობლებს

ანრი სიჭინავა, სენაკის № 3 საჯარო სკოლა

ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის კომპიუტერით დაჯილდოება ეს უდიდესი სტიმულია, რომელიც მოითხოვს ჩვენგან უდიდეს პასუხისმგებლობას, ნებისყოფასა და მუდმივ მზადყოფნას ახალი გამოწვევებისთვის, მინდა მივულოცო ჩემს მეგობრებს, ყველას ვინც კომპიუტერებით დაჯილდოვდა და ვუსურვო წარმატებები.

მარიამ ჩაჩიბაია, სენაკის № 7 საჯარო სკოლა

პირველ რიგში ძალიან გამიხარდა ის, რომ შრომამ შედეგი გამოიღო, კომპიუტერი ჩემი პირველი მნიშვნელოვანი ჯილდოა ცხოვრებაში, რომლის მიღება მოტივაციას მაძლევს უკეთ ვისწავლო, უფრო მეტად დავიხარჯო, არ გავჩერდე და ჩემი საქმის პროფესიონალი გავხდე.

გიორგი ქავთარაძე, ძველი სენაკის საჯარო სკოლა,

ჩემთვის დიდ წარმატებას ნიშნავს ჩემი პირველი კომპიუტერით დაჯილდოება. მე ეს დიდ სტიმულს მაძლევს სწავლაში და მომავალშიც უფრო დიდი წარმატებისათვის. მადლობა ჩემს დირექტორს ბატონ ვახტანგ ჯანჯღავას და ყველა ჩემს პედაგოგს, ეს მათი დამსახურებაცაა.

მარიამ ოჩიგავა, მეორე ნოსირის საჯარო სკოლა

ჩემთვის კომპიუტერით დაჯილდოება ყველანაირად დადებით ემოციებთან უკავშირდება. პირველ რიგში მადლიერი ვარ ჩემი პედაგოგებისა და იმ ნაყოფიერი წლების, რომლის დახმარებითაც მე შევძელი კომპიუტერის აღება. ეს არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა დაჯილდოებული ბავშვისთვის, სტიმული და მოტივაციაა უკეთესი მომავლისა და განათლებისა. გარდა ამისა, ვფიქრობ რომ ეს დაჯილდოვება ყველას უმტკიცებს, რომ მათი შრომა აუცილებლად დაფასდება.

ვიქტორია ჩიქობავა, თეკლათის საჯარო სკოლა

სიტყვებით ძნელია იმ შეგრძნების გადმოცემა, რასაც განვიცდი. ძალიან სასიამოვნოა, როცა კარგი სწავლისთვის კომპიუტერით გაჯილდოებენ. დავისახე მიზნად უფრო მეტი ვიშრომო და მოვინდომო, რომ უფრო განვვითარდე, რომ მივაღწიო ჩემ მიზნებს.

ვულოცავთ მათ და ვუსურვებთ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მომავალში.

მ. გერგაია

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499